**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**
**MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA**

MES 9 19 00149655

11/02/2019

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში საგარეო საქმეთა სამინისტროდან ამა წლის 6 თებერვალს შემოვიდა წერილი N01/4631 (სამინისტროს რეგისტრაციის N146886), ლიეტუვისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" თემაზე გამოცხადებული ესეების კონკურსთან დაკავშირებით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" წევრი ქვეყნების მოქალაქე სტუდენტებს. ესეები უნდა დაიწეროს ინგლისურ ენაზე, ხოლო მათი გაგზავნის ბოლო ვადა **2019 წლის 5 აპრილია** (ქართველმა სტუდენტებმა ესეები უნდა გაუგზავნონ ლიეტუვის საელჩოს საქართველოში).

კონკურსში სულ გამოვლინდება 6 გამარჯვებული (ერთი თითოეული წევრი სახელმწიფოდან), რომლებიც „აღმოსავლეთ პარტნიორობის" 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ მაღალი დონის ღონისძიებებს დაესწრებიან და უშუალოდ გაეცნობიან მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

გთხოვთ, გაავრცელოთ აღნიშნული ინფორმაცია თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დამატებითი ინფორმაცია ესეების კონკურსთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე: http://www.gov.pl/diplomacy/eap10; www.urm.lt/eap10.

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა
შემსრულებელი
შუხოშვილი მაია

01-09-34/1294
06 · 03 · 2019